ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ქ. თბილისი, საქანელას ქუჩა/სანაპიროს ქ. N10



საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ძველი თბილისში, ვერის უბნის ტერიტორიაზე, საქანელას დაღმართზე, სანაპიროს ქუჩა N10_ში, მტკვრის არჯვენა სანაპიროზე. მიწის ნაკვეთზე ამჟამად დგას სამ სართულიანი შენობა, რომელსაც არ აქვს არც მხატვრული და არც ისტორიული ღირებულება. კვლევა ტარდება არსებული შენობის დემონტაჟისა და მის ნაცვლად ახალი შენობის განთავსების მიზნით.



ვერის უბნის ტერიტორიის განაშენიანება და მისი თბილისიდან ინტეგრაცია მე-19 საუკინიდან იწყება. მანამდე იგი სოფლის დასახლებას წარმოადგენდა და მდინარე ვერის ხეობის გასწვრივ მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს. XVIII ს-ში ეს ტერიტორია გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მდინარე ვერეს ხეობა უამრავ სოფელს მოიცავდა, მათ შორის ახლანდელი ვერის უბნის ტერიტორიას, რომელსაც სკვირეთი უნდა რქმეოდა. თუმცა დროთა განმავლობაში ვერეს სახელით დამკვიდრდა. ვერის დაღმართით მეთულუხჩეები ქალაქში წყალს ეზიდებოდნენ, ამ ტერიტორიას "სატიოს უბნადაც" მოიხსენიებდნენ - ბორჯომის ხეობიდან და სურამიდან დაცურებული, ტივებად შეკრული მორების გასაჩერებელი (დასაჭერი) იყო თბილისის ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აქედან მორებს ეზიდებოდნენ ხის დასამუშავებელ საამქროებში.



მე-19 საუკინის მეორე ნახევრიდან ვერის უბნის დასავლეთი ნაწილის ქალაქთან ინტეგრირებას ხელი შეუწყო ვერის დაღმართზე გზის გაჭრამ და ხიდი მშენებლობამ. მანამდე კი განაშენიანება განვითარებულია ზედა ტერასაზე, სადაც დაპროექტდა არტილერიის და სალდათის ქუჩები. აქ იყო გარნიზონის არტილერიის ყაზარმა. აქვე საქანელას დაღმართსა და სასტუმრო "ივერიას" შორის მდებარეობდა მაშხალის ქუჩა. რომელიც XIX საუკუნეში წარმოიქმნა. ასევე მესანგრეთა ქუჩა (თაბუკაშვილი). როგორც ჩანს მეფის რუსეთის პერიოდში ქალაქის ეს ნაწილი სამხედრო დანიშნულების იყო და მისი განაშენიანებაც ფუნქციის შესაბამისად მიმდინარეობდა.



ვერის დაღმართის გაჭრა და ხიდის მშენებლობა ასევე განაპირობა 1872 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისი-ფოთის ხაზის მშენებლობამ, ვაგზლისპირა ტერიტორიის სწრაფმა ზრდამ და ამ ტერიტორიის მჭიდრო დასახლებამ აუცილებელი გახადა მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებისთვის მეტი კავშირების არსებობა. ვერის ხიდის მშენებლობა დაიწყო 1883 წელს და გაიხსნა 1885 წლის 10 თებერვალს. ხიდის პროექტის ავტორი იყო ქალაქის არქიტექტორი უმანსკი. ვერის ხიდის აგების შემდეგ 1883წ გაიყვანეს კონკის ხაზი, 1905 წლიდან _ ელექტროტრამვაის ხაზი. ასევე გაშენდა ბაღი `ბელ-ვიუ~. ვერის დაღმართის დასაწყისში, დღეს შემორჩენილია მხოლოდ ბაღის ნაწილი, სადაც მოწყობილია სკვერი. დაღმართის გაყოლებაზე აიგო მრავალი შენობა. მოგვიანებით, 1951-52 წლებში ძველი ხიდის ნაცვლად აიგო უფრო ფართო და მყარი ახალი სამმალიანი ხიდი - მაშინდელი ელბაქიძის, ახლანდელი გალაკტიონის ხიდი (ინჟინერი გ. ჩომახიძე, არქიტექტორი მ. მელია).

დღევანდელი მ. ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანებას მალევე მოყვა საქანელას ქუჩის გაჩენა, აღდგომის დღეებში აქ ეწყობოდა ატრაქციონები და სახელიც ამის გამო შეერქვა. აქვე თბილისის ძველი ცირკის შენობა იდგა.


Тифлисъ. Верійскій мостъ - Tiflis. Pont de Wera.
515.





ახლანდელი მ. ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანების რიგი ზურგით საქანელას ქუჩისკენ იყო მიმართული. ერთ-ორსართულიანი სახლები ერთმანეთის მიჯრით იდგა, რომლებიც ძირითადად ფონური ღირებულების შენობებს წარმოადგენდა, მაგრამ ერთობლიობაში მნიშვნელოვან ურბანულ მონაკვეთს ქმნიდნენ, ამასთან, ზოგიერთ მათგანს შემონახული ჰქონდა თბილისის არქიტექტურისთვის ძალზე ღირებული ავთენტური ელემენტები. მაგ. ისეთი, როგორიცაა ხვეული ლითონის კიბე აივნები, სადარბაზოს კარები და სხვა დეტალები ამ განაშენიანებიდან დღეს მხოლოდ ერთი სახლი გადარჩა - მ. ჯავახიშვილის ქ. # 21-ში მდებარე სახლი. აქ 1913-37 წლებში ცხოვრობდა გამორჩეული ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი.



მწერლის ყოფილ ბინაში ფუნქციონირებს სახლ-მუზეუმი. თავად სახლი XIX საუკუნის მიწურულს ქართველი მეწარმის _ სიმონ გაბრიჩიძის მიერ არის აშენებული, როგორც შემოსავლიანი სახლი სწორედ გაბრიჩიძეების მდგმურად ცხოვრობდა მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახი. სახლი ჯავახიშვილის ქუჩის მხარეს 3, ხოლო საქანელას ქუჩისკენ 5 სართულით არის წარმოდგენილი. სტილისტური თვალსაზრისით შენობა ფსევდო კლასიცისტურია, სადა საფასადო შემკულობით, შერწყმული ადგილობრივ ტრადიციასთან - გახსნილი აივნებით შიდა მხარეს.







საქანელას ქუჩის მიმდებარე განაშენიანება 2006-08 წლებში რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში დაანგრიეს თუმცა პროექტი შეჩერდა და დღეს ეს ადგილი მიტოვებულია და სამწუხაროდ ნაგავსაყრელად არის ქცეული. არსებული შენობები ძირითადად შემორჩენილია სანაპიროს გასწვრივ ბენზინ-გასამრთ სადგურების, საწყობებისა და სხვა მომსახურეობის ობიექტების სახით.



რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო მიწის ნაკვეთს, ამ ტერიტორიაზე შემორჩენილია ყოფილი სამედიცინო სასწრაფო დახმარების სადგური (ე.წ. "სასწრაფო - 03"-ის შენობა). ეს სადგური აშენებული იყო 1958 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც ემსახურებოდა არა მარტო თბილისის მოსახლეობას, არამედ მის გარეუბნებსაც. ეს სატრანსპორტო კვანძი კარგად იყო ჩართული ქალაქის მთლიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში: უკავშირდებოდა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ავტომაგისტრალს, რომელიც კვეთდა მთელ სიგრძეზე ქალაქს და გადიოდა ერთის მხრივ საქართველოს სამხედრო გზაზე, მეორეს მხრივ – რუსთავისაკენ მიმავალ შოსეზე, ქვემო ქართლის მიმართულებით;

შენობა სამ სართულიანია "П"-ს კონფიგურაციის გეგმარების. სასწრაფოს დახმარების ავტომობილების გასაჩერებელი მოედნით მის წინ, ავტომაგისტრალის სავალი ნაწილიდან შეწეული, ციცაბო კლდის ქვევით გამწვანებული ფერდობისაკენ. ფასადებს არ გააჩნიათ არანაირი დეკორი ან მორთულობა. მას შემდეგ, რაც სასწრაფო დახმარების ცენტრალურმა სადგურმა (2006 წელს) შეწყვიტა ფუნქციონირება, შენობა კიდევ უფრო დაზიანდა და ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია. ნაგებობას არ გააჩნია ისტორიული, არქიტექტურული ან ესთეტიკური თვალსაზრისით რაიმე ღირებულება.



დასკვნა და რეკომენდაციები:

ვინაიდან სადემონტაჟო შენობა არ წარმოდგენს მხატვრული და არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებულ ნაგებობას, ამასთან კონსტრუქციული მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მისი დემონტაჟი არ გამოიწვევს ისტორიული უბნისთვის რაიმე დანაკლისის, პირიქით გარემოს გაუმჯობესების მიზნით სასურველი და მისასალმებელია მისი ჩანაცვლება ისტორიული უბნისთვის შესაფერისი ახალი არქიტექტურით.

საპროექტო წინადადება ითვალისწინებს აფთიაქისა და ლაბორატორიული სინჯების ჩაბარების სივრცის მშენებლობას, რაც ფუნქციურად ნაწილობრივ აგრძელებს სამედიცინო სფეროს მომსახურეობას. რაც შეეხება ვიზუალურ მხარეს, აუცილებელია გააზრებული იყოს უბნის ერთიანი კონტექსტი, რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას თანამედროვე არქიტექტურული სტილი და მასალები , ისე რომ ახალი მოცულობა არ არღვევდეს არსებულ მასშტაბს და ორგანულად ეწერებოდეს მის უკან არსებულ კლდოვან მასასა და შემორჩენილ მწვანე ლანდშაფტში. წარმოდგენილი ესკიზი ერთსართულიანი, ვიზტრაჟული ფასადის მქონე შენობა, ნეიტრალურ გარემოს ქმნის სანაპიროს მხრიდან და არ არღვევს არსებულ გარემოს. ამასთან, სასურველია, თუ ფასადზე ვიტრაჟთან ერთად ნაწილობრივ გამოყენებული იქნება აგურის ან ხის მასალები.

14.10.2021 წ.

ხელოვნებათმცოდნე

მ. გურგენიძე


MOPED DEPOT
ფარმაციული



